ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი შაბათი 21 ივნისი № 143 (17786) ფასი 2 კაპ.

ჩვეულებრივ ეკონომიკური 1980

დამკვრელურ წელს — გარჯაც დამკვრელური!

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ

პრაღა, 20 ივნისი. (საკდესი). დღეს საბჭოთა დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის შეთაურობით მოსკოვს გამოემგზავრა. დელეგაცია მონაწილეობდა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის XXXIV სხდომაში.

აეროდრომზე დელეგაცია გამოაცილეს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ლ.

[illegible] [illegible] [illegible] [

ᲓᲐᲔ, ᲬᲔᲚᲠᲘᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲐᲒᲠᲝᲡ ᲕᲐᲡᲢᲘ!

(დასასრული)

შვესაბამება რესპუბლიკური კომიტეტის საქმიანობის ხასიათსა და სტილს. რა თქმა უნდა, რესპუბლიკაში არის სახალხო კონტროლის კომიტეტები, რომლებიც ზუსტად და შეთანხმებულად მუშაობენ. მრავალი სასარგებლო საქმე, შუშაობის საინტერესო ფორმა და მეთოდია სახალხო კონტროლის აპარის საოლქო, თბილისის, ქუთაისის, ფოთის, ჭიათურის საქალაქო, გორის, ყვარლის, სამტრედიის, თელავის, ჩოხატაურისა და ბევრი სხვა რაიონული კომიტეტის ანგარიშში.

მაგრამ სწორედ ამ ფონზე განსაკუთრებით ძნელია ახსნა ნაკლოვანებანი, რომლებიც არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის სისტემაში, რისთვისაც მკაცრად და სამართლიანად გაგვაკრიტიკა გაზეთმა „პრავდამ“.

აფხაზეთის, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის, გარდაბნის, ქარელის, კასპის, ლანჩხუთის, ლენტეხის, ორჯონიკიძისა და სხვა რაიონების სახალხო კონტროლის კომიტეტების საქმიანობა არ გამოირჩევა სიღრმითა და მაღალი მომთხოვნელობით, მათი როლი სახელმწიფო და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებაში სამეურნეო ორგანიზაციების კონტროლში, ჯგუფებისა და საგუშაგოებისადმი ხელმძღვანელობაში მეტად უმნიშვნელოა.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვენ სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები. ვუწოდოთ მათ მთავარი რგოლი, რადგან იქ, აღგილებზე, შრომითს კოლექტივებში, სადაც წყდება გეგმებისა და ვალდებულებების ბედი, სადაც იშვება ყოველივე ახალი, მოწინავე, განსაკუთრებით საჭიროა სახალხო კონტროლიორთა ყოველდღიური ფხიზელი თვალი, მათი დროული, სწორი მოქმედება.

სახალხო კონტროლის ჯგუფს ბევრი რამ შეუძლია. აი კონკრეტული მაგალითი. ახლახან ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე განვიხილეთ თბილისის 1 მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის სახალხო კონტროლის ჯგუფის მუშაობა. საწარმოს სახალხო კონტროლიორებმა შეიმუშავეს წინადადებანი იმის თაობაზე, რომ გადაესინჯათ მთელი რიგი ნაწარმის გამოსაშვებად საჭირო ნედლეულისა და მასალების ხარჯვის ნორმები, რის შედეგად 1979 წელს დაზოგეს 130 ათასი კვადრატული მეტრი ქსოვილი და 147 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, გეგმის გადაჭარბებით გამოუშვეს მილიონი მანეთის პროდუქცია. მათი წინადადებით მოგვარებულია ხარისხის კონტროლის მწყობრი სისტემა. ფაბრიკის სახალხო კონტროლიორებმა გამოიჩინეს ინიციატივა: 1980 წლის იშრომნონ დევიზით — „ლენინურ დამჯერელურ წელს ავამჯამედოთ ყველა რეზერვი!“ ახორციელებს რა ამ თაოსნობას, საწარმოს კოლექტივმა უკვე თითქმის შეასრულა ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვების წლიური დავალებანი. ფაბრიკაში პატივს სცემენ და ანგარიშს უწევენ სახალხო კონტროლიორებს, ეთათბირებიან სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხზე.

ეს ჯგუფი გამონაკლისი როდია. მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით, რომ ასეთი ბრძოლისუნარიანი ჯგუფები ბევრი გვყავდეს. პარტიულ ორგანიზაციებს არ ეკადრებათ, რომ ბევრი სახალხო კონტროლის ჯგუფი გარეშე, ინერტიული შეთვალყურის როლს ასრულებს, არ იჩენს სიმტკიცესა და მებრძოლუნრობას იმ სერიოზულ ნაკლოვანებათა და დარღვევათა აღმოფხვრაში, რომლებიც ზოგჯერ მათ თვალწინ ხდება.

მაგალითისათვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება. 1979 წლის მეორე ნახევარში რესპუბლიკაში მოეწყო მომჭირნეობისა და ყაირათიანობის დათვალიერება. სახალხო კონტროლის ორგანოებმა გამოავლინეს ბევრი ნაკლი, და ეს ძალიან კარგია. რაც მთავარია, უზრუნველყვეს მათი ოპერატიული აღმოფხვრა, ოპერატიული გამოსწორება. მაგრამ იბადება კითხვა: რატომ მოხდა, რომ სახალხო კონტროლის ჯგუფებმა და საგუშაგოებმა, პარტიულმა ორგანიზაციებმა მხოლოდ დათვალიერების დროს მოჰკიდეს ხელი ხარვეზების ლიკვიდაციას?

განა, მაგალითად, თბილისის № 1 ავტომშენებელი ქარხნის სახალხო კონტროლიორები წინათ ვერ ხედავდნენ, რომ მათ საწარმოში ელექტროენერგიას ხელგაშლილად იყენებდნენ, რის გამოც ენერგიის გადახარჯვამ 75 ათასი კილოვატსაათი, ესე იგი წლიური მოხმარების 3 პროცენტი შეადგინა? სად იყვნენ ამ საწარმოს ხელმძღვანელები, პარტორგანიზაციის მდივანი, პარტბიუროს წევრები?

განა საჩხერის რაიონის სოფელ ჭალის კრმეურნეობის სახალხო კონტროლიორებმა და სხვა ამხანაგებმა დათვალიერებამდე არ იცოდნენ, რომ ბენზინგასაწყობის უქონლობის გამო ავტოტრანსპორტი ყოველდღე 30 კილომეტრს უქმად გადიოდა?

განა დიდპანელიანი სახლსაშენებელი ქარხნის სახალხო კონტროლიორები ვერ ხედავდნენ, რომ თბოტრასებზე არ იყო იზოლაცია, რასაც თითქმის ათასი ტონა პირობითი საბობის არამწარმოებლური დანაკარგები მოჰყვა?

ანდა განა სახალხო კონტროლიორებს და სხვა ამხანაგებს არ შეეძლოთ აღემაღლებინათ ხმა სახელმწიფო დისციპლინის უხეში დარღვევების წინააღმდეგ ქობულეთის პანსიონატ „ჰორიზონტის“ მშენებლობისა და საექსპლოატაციოდ მიღების დროს? სამწუხაროდ, მშენებლობის სამინისტროს № 5 ტრესტის მშენებელთა მიერ დაშვებული დანაშაულებრივი მოქმედება, დარღვევები, ამ დაუმთავრებელი ნაგებობის საექსპლოატაციოდ მიღების აქტზე ხელმოწერი სახელმწიფო კომისიის საქციელი მკაცრად არ ამხილეს არც მშენებლობის სახალხო კონტროლიორებმა და არც პარტიულმა ორგანიზაციამ. მხოლოდ პროფსაბჭოს და სხვა რესპუბლიკური ორგანიზაციების ჩარევის შემდეგ რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო იძულებული გახდა შეეწყვიტა პანსიონატის ექსპლოატაცია მისი სრული უვარგისობის გამო.

მატერიალურ ღირებულებათა დატაცების, გაფუჭების, განიავების მრავალი ფაქტი გამოვლინდა „საქფრინველმრეწვის“ სისტემის მეფრინველეობის ფაბრიკებსა და კომბინირებული საკვების მრეწველობის საწარმოებში. ფრინველისა და კვერცხის დატაცების ფაქტები გამოვლინდა სამტრედიის, საგარეჯოს, კოდის, გამარჯვების, თბილისის, ხაშურის, მეჯვრისხევის, შირაქის, ცხინვალისა და სხვა მეფრინველეობის ფაბრიკებში. არადა, ამხანაგებო, ეს ხომ მეტად მრავალრიცხოვანი, სერიოზული, დიდი კოლექტივებია, დიდი პარტიული ორგანიზაციებია, და შესაბამისად საკმაოდ ბევრი სახალხო კონტროლიორი ჯგუფი მუშაობს ამ საწარმოებში. სად იყვნენ ამ საწარმოთა სახალხო კონტროლიორები, კომუნისტები, რატომ ურიგდებოდნენ ისინი ამ უმსგავსობას, რატომ აძლევდნენ ქურდობსა და მფლანგველობას შესაძლებლობას გამდიდრებულიყვნენ სახელმწიფოს ხარჯზე, ჩვენი ხალხის ხარჯზე?

ყოველივე ნათქვამიდან გამომდინარეობს უცილობელი დასკვნა: სახალხო კონტროლის კომიტეტების და, უწინარეს ყოვლისა, რესპუბლიკური კომიტეტის მთავარი ამოცანა ის არის, რომ აღმოფხვრან დისპროპორცია სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობის დონეში. მნიშვნელოვნად აამაღლონ ჯგუფებისა და საგუშაგოების როლი და გავლენა, პრაქტიკული უკუგება და ეფექტიანობა მათთვის დაკისრებულ ფუნქციათა შესრულებაში.

ჩვენი აზრით, დადგა ისეთი პერიოდი, ისეთი მომენტი და ისეთი ეტაპი, როცა **სახალხო კონტროლისა და სახალხო კონტროლიორთა როლი კიდევ უფრო უნდა ამაღლდეს ჩვენი ცხოვრების ყველა დარგში, ჩვენი საქმიანობის ყველა სფეროში, ჩვენი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე.** ჩვენმა სახალხო კონტროლმა, ისევე როგორც ყველა ორგანიზაციამ, მთელ თავის მუშაობაში უნდა გაითვალისწინოს სახალხო მეურნეობის პროგნოზები და საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნები.

თუ პროგნოზებს შევეხებით, მეთერთმეტე ხუთწლედში და უფრო შორეულ პერსპექტივაშიც სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის მთელ ჩვენს მუშაობაში ერთ-ერთი მთავარი მიმართულება უნდა გახდეს ნედლეულის, სათბობის, სხვა მატერიალური რესურსების უმკაცრესი მომჭირნეობის, საწარმოო სიმძლავრეების, მოწყობილობის, ყველა ძირითადი ფონდის რაციონალური გამოყენების პრობლემის გადაწყვეტა. ეს საკითხთა საკითხია, ამხანაგებო. ამასთან დაკავშირებით **სახალხო კონტროლის ამოცანა, როგორც მისი საქმიანობის მთავარი მიმართულება, უნდა იყოს მუდმივი და დაუცხრომელი ზრუნვა მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმისათვის.**

სამწუხაროდ, მუდამ ვაწყდებით ფაქტებს, როცა სახალხო კონტროლიორები და პარტიული ორგანიზაციები გვერდს უვლიან სერიოზულ დარღვევებს, სერიოზულ ნაკლოვანებებს, მატერიალურ ღირებულებათა განიავების, მასალების ხელგაშლილად ხარჯვის შემთხვევებს.

ვფიქრობთ, **ჩვენმა სახალხო კონტროლიორებმა წესად უნდა გაიხადონ, რომ ყველაფერს იკიდებდნენ ძალიან უურადღებით, ძალიან დაკვირვებით,** მე ვიტყოდი, ჩაცივნებითაც კი, და, დაე, მათი დევიზი გახდეს სიტყვები: **გვერდს ნუ ავუვლით! გვერდს ნუ ავუვლით დარღვევებს, გადაბრებს, ნაკლოვანებებს, ხარვეზებს!**

ზოგჯერ დავობენ, რა არისო ყველაზე მთავარი ბოროტება: დიდი სისაძაგლე და დარღვევები, დიდი დატაცებები და მფლანგველობა თუ — წვრილმანი? ვფიქრობ, რომ ობივატელური, და ყოვლად უმაქნისი მსჯელობაა. **უნდა ვიბრძოლოთ დიდი გაფლანგვების წინააღმდეგაც, დიდი დარღვევების წინააღმდეგაც, უნდა ვებრძოლოთ წვრილმან დარღვევებსაც — ეს ერთიანი სისტემა, ერთიანი მოთხოვნაა.**

გვერდს ნუ აუვლით, თუნდაც ყველაზე უმნიშვნელო, ერთი შეხედვით, ყველაზე წვრილმან დარღვევებს. ეს, ეგრეთ წოდებული, წვრილმანი დარღვევები გვხვდება თითქმის ყოველ ნაბიჯზე, ეს დარღვევები არის სკოლებში, საავადმყოფოებში, სამრეწველო წარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, საზოგადოებრივი კვების ობიექტებში.

მინდა ნათქვამი ზოგიერთი კონკრეტული მაგალითით დავასაბუთო.

ყველას კარგად მოგეხსენებათ, თუ რა ძნელი ვითარება შეიქმნა უკანასკნელ ხანს ქალაქ თბილისის წყალმომარაგებაში. თუმცა ჩვენთან ერთ სულ მოსახლეზე წყლის მოხმარების მაჩვენებელი საკმაოდ დიდია, ქალაქის ზოგიერთ მიკრორაიონს არ ჰყოფნის წყალი, რომელსაც შეფერხებით აწვდიან, რაც მოსახლეობის სრულიად სამართლიან საჩივრებსა და უკმაყოფილებას იწვევს.

ეს, ძირითადად, იმის გამო მოხდა, რომ ქალაქის განვითარების ტემპსა და წყალმიწოდების მატებას შორის შეიქმნა დისპროპორცია, რაც ენერგიის ჰიდროტექნიკური კომპლექსის მშენებლობის გაჭიანურებამ გამოიწვია.

ამ დღეებში სპეციალისტებთან ერთად დეტალურად განვიხილეთ ქალაქ თბილისის წყალმომარაგების მდგომარეობა და დავრწმუნდით, რომ აქ მეტად სერიოზული პრობლემები და ხარვეზები ყოფილა.

ამჟამად ამ საკითხზე მზადდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილება, და ვაპირებთ ყველაფერი ვიღონოთ, რათა გავაუმჯობესოთ რესპუბლიკის დედაქალაქის მოსახლეობის წყალმომარაგება.

ამ პრობლემის განხილვის დროს ძალიან დაგვაფიქრა მონაცემებმა სასმელი წყლის დანაკარგებისა და სამრეწველო საწარმოთა მიერ მისი ხარჯვისად არარაციონალური გამოყენების შესახებ.

თავად განსაჯეთ. ამჟამად თბილისის წყალსადენის ყველა სათავე ნაგებობის მაქსიმალური მწარმოებლობა 12,5 კუბური მეტრი წყალია წამში. ეს კი ნიშნავს, რომ სამრეწველო, კომუნალური და სხვა საჭიროებისათვის წყლის ხარჯვის გათვალისწინებით ქალაქის ერთ მცხოვრებზე წყლის მოხმარება შეადგენს დაახლოებით 700 ლიტრს დღე-ღამეში, რაც უმაღლესი მაჩვენებელია ქვეყანაში.

შემოწმების დროს გამოირკვა, რომ სახლების შიდა ქსელებისა და წყალსადენი არმატურის უწესივრობის გამო დანაკარგები საცხოვრებელ სახლებში დახარჯული წყლის საერთო ოდენობის დაახლოებით 40 პროცენტს შეადგენს. აი, რა გამოდის: ჩვენ სასმელი წყლის თითქმის ნახევარს ვკარგავთ.

რაციონალურად არ იყენებს წყალს ქალაქის მრეწველობა. სამრეწველო ობიექტებზე წყლის მოხმარების პროგრესული სქემების სფერი დანერგვის გამო, მათ მიერ გამოყენებული საბრუნავი წყლის რაოდენობა მხოლოდ 15 პროცენტს შეადგენს, საშუალო მაჩვენებელი კი საბჭოთა კავშირში 58 პროცენტია, ხოლო მოწინავე საწარმოებში — თითქმის 95 პროცენტი.

თუმცა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღო მთელი რიგი დადგენილებანი წყალმომარაგების განმეორებითი — საბრუნავი სისტემების დანერგვის შესახებ, და ეს ყველამ, მათ შორის სახალხო კონტროლის კომიტეტმაც, იცის, მაგრამ ქალაქის 42 მსხვილი საწარმოდან, სადაც ეს სისტემები უნდა დაიდგას, მხოლოდ ოთხმა საწარმომ დანერგა ისინი. ამ სისტემების დანერგვა ხომ მარტო ამ საწარმოებში წელიწადში დაახლოებით 80 მილიონ კუბურ მეტრ წყალს დაგვიზოგავს!

ამრიგად, **წყალმომარაგების გაუმჯობესების პრობლემა უნდა გადაეწყვიტოთ არა მარტო წყლის მიწოდების დამატებითი წყაროების გამოვლენის გზით, არამედ, უწინარეს ყოვლისა, წყლის დანაკარგების, გადინების, არარაციონალური ხარჯვის წინააღმდეგ ბრძოლის მკვეთრი გაძლიერების გზითაც. და ამ ბრძოლაში თავისი როლი უთუოდ უნდა შეასრულონ რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოებმაც.**

მეორე მაგალითი — სოფლის მეურნეობის დარგიდან.

ცნობილია, რომ სასუქების რაციონალური გამოყენება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების მძლავრი ფაქტორია. მაგრამ, როგორც ბევრ რაიონში მოწყობილმა შემოწმებამ ცხადყო, იქ უყაირათოდ იხარჯებოდა მინერალური სასუქები, უგულებელყოფდნენ მეცნიერთა რეკომენდაციებს, არ იყენებდნენ აგროქიმიური კარტოგრამებს.

მაგალითად, ცხინვალის რაიონის მთელ რიგ მეურნეობებში უხეშად ირღვევა მინერალური სასუქების დოზირება, რომლებიც ნიადაგში შეაქვთ არა კარტოგრამების მიხედვით, არამედ „თვალდათვალ“. ამის შედეგად თამარაშენის საბჭოთა მეურნეობაში დაახლოებით 1000 ჰექტარ ფართობზე არ შეუტანიათ კალიუმის სასუქები, არადა, ეს სასუქები მთ ჰქონდათ. ამავე მეურნეობაში 5 ჰექტარ ხეხილის ნარგავებში ნორმის გადაჭარბებით დახარჯეს 22 ტონა აზოტიანი სასუქები, ამავე დროს კი 280 ჰექტარი უსასუქებოდ დარჩა.

ანალოგიური ვითარება შეიქმნა ქსუისის კოლმეურნეობაში, სადაც რამდენიმე თვის მანძილზე ღია ცის ქვეშ ეყარა 5 ტონა ფოსფორიანი სასუქები.

უხეშად არის დარღვეული სასუქების გამოყენების წესები გარდაბნის რაიონში. სართიჭალის მებოსტნეობა-მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში 85 ჰექტარ ხეხილის ნარგავებში რეკომენდებული 600 კილოგრამი სუპერფოსფატის ნაცვლად ერთ ჰექტარზე შეიტანეს დაახლოებით ათასი კილოგრამი.

სართიჭალის მეცხოველეობის კომპლექსში (დირექტორი — ამხ. ჩიტიშვილი) ჰექტარ მარცვლეულის კულტურების ნათესში შეიტანეს 250 კილოგრამი შარდოვანა რეკომენდებული 120 კილოგრამის ნაცვლად. შემოწმების დროს აზოტიანი სასუქები ინახებოდა გარაჟში, ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქები კი ღია ცის ქვეშ.

გამარჯვების მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი — ამხ. ჯაფარიძე) სასუქებს ინახავდნენ ხილ-ბოსტნეულის საწყობში, ხოლო 12 ტონა სუპერფოსფატი ეყარა ღია ცის ქვეშ. წვიმაში, რის შედეგად ყუთიან ნივთიერებათა ნახევარი დაიკარგა.

ჩხოროწყუს რაიონის მეტ წილ მეურნეობებში ირღვევა სასუქების გამოყენების წესები. მაგალითად, ნაფიჩხოვოს კოლმეურნეობაში სიმინდის ყანებში ნავარაუდევი 120 კილოგრამი აზოტიანი სასუქების ნაცვლად შეიტანეს 200 კილოგრამზე მეტი, ხოლო კალიუმის სასუქები სულაც არ შეუტანიათ.

დაცვა-შენახვის ტექნოლოგიის უხეში დარღვევების გამო რესპუბლიკაში ყოველწლიურად იკარგება 12 პროცენტზე მეტი მინერალური სასუქები. ეს — პირდაპირი დანაკარგები. ხოლო ის, რომ მათ სწორად არ ვიყენებთ, — ეს სხვა საკითხია. მთლიანად ეს დანაკარგები 90 ათას ტონაზე მეტს შეადგენს რესპუბლიკაში. ეს კი ნიშნავს, რომ იკარგება ასიათასობით, მილიონობით მანეთი, ათასობით ტონა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პროდუქტი.

აი ორი მაგალითი ქალაქის ცხოვრებიდან და სოფლის ცხოვრებიდან. წყალმომარაგების პრობლემა და მინერალური სასუქების რაციონალური გამოყენების პრობლემა.

რა არის ეს? წვრილმანი ფაქტებია თუ მსხვილმანი?

ერთი შეხედვით, თითქოსდა, წვრილმანია, თითქოსდა, რა მოხდა, რომ სადღაც, ვიღაცის ბინაში გაფუჭებულია ონკანი, რომ იქიდან წყალი მოწვეთავს? რა მოხდა, რომ სადღაც, ვიღაცამ სადაც საჭიროა, იქ არ შეიტანა მინერალური სასუქები? თითქოსდა ეს წვრილმანია. მაგრამ ხედავთ, რა მოსდევს ამ წვრილმანებს, რა უჯდება ისინი ჩვენს სახელმწიფოს და ჩვენს ხალხს?

ყველა ეს ეგრეთ წოდებული წვრილმანი დარღვევა, რომლებიც დროთა განმავლობაში მეტად დიდ მასშტაბს იძენს, დისციპლინის შესუსტების, მთელი რიგი სამეოდ პასუხისმგებელი შუშაკების პასუხისმგებლობის გრძნობის დაკარგვის, ჩვენი ცალკეული სპეციალისტების, ცალკეული მოქალაქეების არასაკმაოდ მაღალი ზოგადი კულტურის პირდაპირი შედეგია.

ნორმებისა და საყოველთაოდ მიღებული წესებისგან ყოველი გადახრა არღვევს, არც შეიძლება არ დაარღვიოს, ადამიანთა ცხოვრების რიტმს, რის გამოც მათ გუნება უფუჭდებათ, პირდაპირ უნდა ვთქვათ: ეგრეთ წოდებულ წვრილმან ნაკლოვანებებს საბოლოო ანგარიშით დიდი უსიამოვნებანი, ჩვენს შუშაობაში დიდი ნაკლოვანებანი და შეცდომები მოსდევს.

სერიოზული ნაკლოვანებანი ქალაქ თბილისის წყალმომარაგებაში გავლენას ახდენს თითოეულ სახლზე, გარავეულ დაღს ახნევს თითოეული ოჯახის ცხოვრებას. ახლა არ იტყვით, ამხანაგებო, რამდენი კონტროლიორი, სახალხო კონტროლიორია თბილისში? 50 ათასი, ესე იგი თითქმის თითოეულ ოჯახში ერთი სახალხო კონტროლიორია. ისინი რომ უურადღებას აქცევდნენ იმას, რომ წყალი ხახარჯება ისე, როგორც არ უნდა იხარჯებოდეს, მაშინ ჩვენში წესრიგი იქნებოდა. მე დაგისახელეთ რიცხვი — 80 მილიონამდე კუბური მეტრი წყალი იღვრება ფუჭად.

ყოველივე ამას ხომ ხედავენ სახალხო კონტროლიორებიც, კომუნისტებიც, სხვა ამხანაგებიც, ხედავენ და გვერდს უვლიან.

რატომ არის, რომ სახალხო კონტროლიორი თავის ფუნქციებს მხოლოდ მაშინ ასრულებს, როცა ოფიციალურად შემოწმებაზე გზავნიან? და რატომ აღარ არის ხოლმე კონტროლიორი მაშინ, როცა უბრალოდ ცხოვრებაში აწყდება ამა თუ იმ ნაკლს? კაცი, მოქალაქე, მით უმეტეს, თუ იგი კომუნისტია, მუდამ ერთსახირი უნდა იყოს, ყოველთვის უნდა იდგეს მდგომარეობის სიმაღლეზე, ყოველთვის ინიდეს პრინციპულობასა და თანამიმდევრობას.

სამწუხაროდ, ცხოვრებაში ყოველთვის ასე როდია. არადა, რა ხშირად არის ხოლმე, როცა ადამიანები ნაკლოვანებებს წააწყდებიან, ამბობენ: უფროსობა საიოდა იყურებაო?

რა თქმა უნდა, ასეთი საყვედურების მოსმენა არცთუ სასიამოვნოა. რაღა თქმა უნდა, ამ საკითხებზე უნდა მუშაობდნენ ხელმძღვანელები, უწინარეს ყოვლისა — რესპუბლიკის ხელმძღვანელები, ქალაქის, რაიონის ხელმძღვანელები და ა. შ. ეს, ასე ვთქვათ, ჩვენი ღვიძლი საქმეა. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ვერავითარი ხელმძღვანელობა ყველაფერს ვერ გასწვდება, მით უმეტეს, ვერ გაკონტროლებს, რა უწესო-რიგობანიც არის თითოეულ სახლში, თითოეულ ოჯახში. ამიტომ ყველაზე ეფექტიანი კონტროლი, საყოველთაო-სახალხო კონტროლი, მასობრივი კონტროლია.

ჩვენი უპირველესი ამოცანა ის არის, რომ, ჯერ ერთი, ჩვენი კონტროლიორები აღვზარდოთ ყოველგვარი ნაკლისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით, ყოველი ნეგატიური მოვლენის წინააღმდეგ თანამიმდევრული ბრძოლის სულისკვეთებით და, მეორე, ის, რომ სახალხო კონტროლს მივანიჭოთ ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო, ჭეშმარიტად ფართო ხასიათი. ამისათვის საჭიროა სრულყოთ სახალხო კონტროლიორთა მუშაობის ფორმები და მეთოდები, გავხადოთ მათი საქმიანობა უფრო მოქნილი, უფრო მობილური, უფრო პრინციპული. საქმე ისეთნაირად უნდა მოეწყოს, რომ სახალხო კონტროლის რესპუბლიკურ, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, საჭიროების შემთხვევაში, შეეძლოთ აამძრავონ სახალხო კონტროლიორთა მთელი მასა, ხახს ვუსვამ — მთელი მასა, ამა თუ იმ საკითხის შესამოწმებლად დარაზმონ მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა.

რატომ არ უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ დავაწესოთ მთელი რესპუბლიკისათვის ერთიანი გარკვეული, ვთქვათ, უბნისა თუ რომელიმე დარგის შემოწმების დღე, და ეს დღე ჩავატაროთ საჭიროების შემთხვევაში, ამა თუ იმ დარგში საქმის ვითარების მიხედვით, ერთ შემთხვევაში ჯანმრთელობის დაცვის ობიექტებზე, მეორე შემთხვევაში — საკვების დამზადებაზე, მესამე შემთხვევაში — მუშათა სასადილოებზე? ამით შევძლებთ ორერთიანი ამოცანის შესრულებას: ჯერ ერთი, მოეწყობა ნამდვილად მასობრივი შემოწმება, და რაც უფრო მასობრივი იქნება ეს შემოწმება, მით უფრო მაღალი გამოდგება სახალხო კონტროლიორთა აქტიურობა; და, მეორე, მთ. უფრო მეტი ადამიანი ეზიარება შემოწმების ხელოვნებას, კონტროლის ხელოვნებას, მით უფრო ფართო მასები დაეუფლებიან სახელმწიფო და სამეურნეო მუშაობის პრაქტიკას, ყაირათიანად, სახელმწიფოებრივად მოეკიდებიან ყველა ჩვენს უმნიშვნელოვანეს საქმეს.

რესპუბლიკურმა კომიტეტმა ყოველნაირად უნდა გაამეიეროს ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელობა, გაუწიოს მათ ყოველმხრივი პრაქტიკული დახმარება, უნარიანად შეუხამოს ამ მიმართულებით თავისი საქმიანობა პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მიერ პრაქტიკულ ხელმძღვანელობას.

საჭიროდ მიგვაჩნია, რომ სახალხო კონტროლის რესპუბლიკური კომიტეტი და ადგილობრივი პარტიული კომიტეტები ერთად გაერკვნენ სახალხო კონტროლის თითოეული კომიტეტის საქმიანობის ყველა მხარეში, დასახონ და დაუყოვნებლივ განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი იმისათვის, რომ მიაღწიონ სახალხო კონტროლის უკლებლივ ყველა კომიტეტის, თანაბარად შეთანხმებულ, მაქსიმალურად აქტიურ მუშაობას.

ვფიქრობ, რომ ამას შეძლებენ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციებიც, სახალხო კონტროლის კომიტეტიც. და თუ ისინი ერთად, ერთსულოვნად მოჰკიდებენ ხელს ამ ამოცანის გადაწყვეტას, მაშინ მიაღწევენ წარმატებას, მით უმეტეს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მთავრობა მზად არიან ყოველ მომენტში გაუწიონ მათ ანგარიში და საჭირო დახმარება.

რესპუბლიკურმა კომიტეტმა უთუოდ უნდა უზრუნველყოს, რომ მისმა ადგილობრივმა კომიტეტებმა სისტემატური პრაქტიკული დახმარება გაუწიონ სახალხო კონტროლის ჯგუფებს, თითქოს ისინი ახლაც ეხმარებიან ჯგუფებს, მაგრამ ყოველთვის ასე არ გამოდის.

სახალხო კონტროლის კომიტეტების განსაკუთრებული საზრუნავია კონტროლიორთა როლისა და ავტორიტეტის ამაღლება.

სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კანონში არის მუხლი „სახალხო კონტროლიორი“. მასში ჩაწერილია: „სახალხო კონტროლიორობა დიდი პატივი და საპატიო მოვალეობაა. ყოველმა სახალხო კონტროლიორმა თავისი საქმიანობით უნდა გაამართლოს მისთვის გამოცხადებული ნდობა, იყოს მომთხოვნი და პრინციპული, როცა საქმე ეხება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას, ნიადაგ ზრუნავდეს სახალხო დოვლათის დაცვა-შენახვისა და გამრავლებისათვის, აჩვენებდეს შრომისმოყვარეობის, მაღალი შეგნებულობის, ორგანიზებულობისა და დისციპლინის მაგალითს“. ამით ყველაფერია ნათქვამი, განსაზღვრულია პროგრამა.

უნდა მივაღწიოთ, რომ უკლებლივ ყველა ჩვენი სახალხო კონტროლიორი მთლიანად აკმაყოფილებდეს ამ მაღალ მოთხოვნებს.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს **„კონტროლიორთა მორალურ და მატერიალურ სტიმულირებას.** სახალხო კონტროლის კომიტეტები თავიანთ აქტივისტებს აჯილდოებენ სპატიო სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით. ეს კარგია, რესპუბლიკურ კომიტეტში შემოღებულია სპატიო წიგნი, რომელში შეტანილა დიდი პატივია თითოეული სახალხო კონტროლიორისათვის.

მაგრამ მარტო ამას როდი უნდა დავჯერდეთ. კანონი სახალხო კონტროლის შესახებ ავალებს საწარმოების, კოლმეურნეობების, დაწესებულებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, სახელმწიფო მართვის ორგანოებს, წაახალისონ ის სახალხო კონტროლიორები, რომლებიც თავს გამოიჩენენ, და ამისათვის გამოიყენონ მორალური და მატერიალური წახალისების მოქმედითი ღონისძიებანი. ასეთი ღონისძიებანი, ამხანაგებო, საკმარისად გვაქვს. თუ საკმარისად არა გვაქვს, მოდით, მოიფიქრეთ, შემოიტანეთ წინადადებანი, ჩვენ მხარს დაგიჭერთ. ახლა საქმე ის არის, რომ სწორად, გონივრულად და დროულად გამოვიყენოთ წახალისების ყველა ღონისძიება იმ კონტროლიორთა მიმართ, რომლებიც ამას ნამდვილად იმსახურებენ.

ყველაზე სერიოზული ყურადღება უნდა დავუთმოთ „კომკავშირულ პროექტორთან“ სახალხო კონტროლის კონტაქტების გაძლიერებას.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე რესპუბლიკის პროფკავშირულ ორგანიზაციებთან, ადმინისტრაციულ და სხვა საკონტროლო ორგანოებთან სახალხო კონტროლის ორგანოების მჭიდრო ურთიერთმოქმედებას.

ამას წინათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუდმივი კომისიებისა და სახალხო კონტროლის ორგანოების ურთიერთმოქმედების გაუმჯობესების შესახებ, რაც აგრეთვე აღუჭურავს სახალხო კონტროლის სისტემას ახალი შესაძლებლობებით. უნდა ვიფიქროთ, რომ რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოები და სახალხო კონტროლის ორგანოები დახვეწავენ თავიანთი საქმიანი თანამშრომლობის მექანიზმს.

მოგახსენებთ კიდევ ერთი მოთხოვნის შესახებ, რომელსაც ვუყენებთ რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოებს. ჩვენს შეშფოთებას იწვევს ის, რომ მთელ რიგ სამინისტროებს, უწყებებს, სამეურნეო ორგანიზაციებს ჯერ კიდევ არ გარდაუქმნიათ საქმიანობა დროის მოთხოვნების მიხედვით. ზოგიერთ მნიშვნელოვან, ფრიად მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ისინი არ ასრულებენ. შემაშფოთებელია ის გარემოება, რომ სახალხო კონტროლის კომიტეტებმა და ჯგუფებმა აქ ვერ თქვეს თავისი სიტყვა, ვერ უწყობენ ხელს ამ გადაწყვეტილებათა უთუო შესრულებას.

ამ ამოცანის დაძლევას ისინი შეძლებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფენ მუდმივ, ყოველდღიურ კონტროლს. მარტო საგეგმო შემოწმებებით საქმეს ვერ უშველი. რა თქმა უნდა, ეს შემოწმებები საჭიროა და კარგ შედეგებს გვაძლევს. მაგრამ საქმე ეხება სწორედ **ყოველდღიურ კონტროლს,** ზუსტად ამა თუ იმ კონკრეტული დადგენილების გამოსვლის დღიდან.

ამგვარი კონტროლის უზრუნველყოფა მარტო კომიტეტების ძალებით შეუძლებელია. აქ უფრო სრულად უნდა გამოვიყენოთ სამინისტროებისა და უწყებების სახალხო კონტროლის ჯგუფები, რომლებსაც, აქვე უნდა ვთქვათ, ჯერაც არ დაუწყიათ ნამდვილი პრინციპული ბრძოლა აპარატებში საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებისათვის. ეს ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ ამას წინათ მიღებულ დადგენილებაში სსრ კავშირის ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტროში შესრულების კონტროლისა და შემოწმების შესახებ. ეს მეტად მნიშვნელოვანი, სერიოზული დოკუმენტი ჩვენს ყურადღებას მიაპყრობს კონტროლის შემდგომ სრულყოფას დარგის მასშტაბით, ხაზს უსვამს სამინისტროებისა და უწყებების სახალხო კონტროლის ჯგუფების როლს. მათ უნდა უზრუნველყონ მინდობილი სამუშაო უბნისათვის კადრების პასუხისმგებლობის მაქსიმალური გაძლიერება, ამ შემთხვევაში, — პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა შესრულებისათვის. **ყოველთვის თვალთახედვის არეში უნდა გვქონდეს, მუდამ კონტროლს ვუწევდ

ინფორმაციას გვაწვდის მინისტრი

ახალი საპენსიო შეღავათი

დიდი სამამულო ომის ფრონტებზე დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ცოლები ახალი შეღავათების გათვალისწინებით გადიდებული ოდენობით მიიღებენ მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიებს. ეს ღონისძიება ხორციელდება „დიდი სამამულო ომის ინვალიდთა და ფრონტზე დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების საპენსიო უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების შესასრულებლად.

ამ დღეებში საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ორგანოებში მომდინარეობს გადაანგარიშება და გადიდებული პენსიების დარიცხვა.

საქინფორმის კორესპონდენტმა სთხოვა რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის მინისტრს კ. ბარდაშვილს ეამბნა, თუ როგორ ხორციელდება ეს, აგრეთვე მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის დონის ამაღლების სხვა ღონისძიებანი, რომ კეთდება პენსიონერთა და ინვალიდთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

— წინათ მოქმედი კანონის თანახმად, ფრონტზე დაღუპულ მეომართა ცოლებს პენსიები ენიშნებოდათ მხოლოდ მათი შრომისუუნარობის შემთხვევაში და თუ ისინი ადრე იმყოფებოდნენ ქმრის კმაყოფაზე, სახელმწიფო პენსიების მიცემის ასალი წესი, — თქვა მინისტრმა, — ითვალისწინებს პენსიების დანიშვნას მარჩენალის დაკარგვის გამო ფრონტზე დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ცოლებისათვის. იმის მიუხედავად, იყვნენ თუ არა ისინი ფრონტზე დაღუპული ქმრების კმაყოფაზე, აგრეთვე საპენსიო ასაკის მიღწევისა და ინვალიდობის ჯგუფის დადგენის დროის მიუხედავად.

ეს დებულება ვრცელდება სამხედრო მოსამსახურეთა, პარტიზანთა, აგრეთვე საპენსიო უზრუნველყოფით სამხედრო მოსამსახურეებთან გათანაბრებულ მოქალაქეთა შრომისუუნარო ცოლებზე, თუ მარჩენალთა დაიღუპა (დაკარგა უგზო-უკვლოდ) ან გარდაიცვალა ფრონტზე (პარტიზანულ რაზმში) ან გარდაიცვალა უფრო მოგვიანებით ფრონტზე (პარტიზანულ რაზმში) მიღებული ჭრილობის, კონტუზიის თუ სახიჩრობის შედეგად.

ფრონტზე დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ცოლებს, რომლებიც იღებენ სახელმწიფო ან საყოლმეურნეო პენსიას, ახლა ენიჭებათ პენსიის სახეობის არჩევის უფლება. მათ შეუძლიათ ან თავისი პენსია დაიტოვონ ან გადავიდნენ ქმრის — ფრონტზე დაღუპული სამხედრო მოსამსახურის პენსიაზე, თუ მათი პენსია ნაკლებია, ვიდრე მარჩენალის დაკარგვის გამო დანიშნული პენსია.

ახალი წესი საშუალებას იძლევა აგრეთვე პენსია გამოანგარიშდეს ფრონტზე დაღუპული ქმრის ომამდელი ხელფასიდან. გარდა ამისა, ფრონტზე დაღუპულ მეომართა ცოლები, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს მიიღონ მარჩენალის დაკარგვის გამო პენსია, სარგებლობენ შეღავათებით კომუნალურ მომსახურებაში: ამ მომსახურების საფასური 50 პროცენტითაა შემცირებული.

მიმდინარე წლის პირველი მაისიდან სრული ოდენობით (15 პროცენტის შეუმცირებლად) მოხდება ყველა იმ პენსიის გადაანგარიშება, რომლებიც დაწესებულია სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახებისათვის ინვალიდობის გამო, მარჩენალის დაკარგვის გამო, რომლებიც დანიშნული იყო სოფლის მეურნეობასთან კავშირის ნორმით.

ახლა რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სოციუზრუნველყოფის განყოფილებებში ორგანიზაციული მუშაობა მიმდინარეობს პენსიების ახალი კანონმდებლობის განხორციელებისათვის: ავლენენ კონტინგენტს, სინჯავენ დოკუმენტებს, ხდება ახალი, გადიდებული ოდენობით პენსიების გადაანგარიშება და დარიცხვა.

არ შემიძლია არ მოგახსენოთ, აღნშნა შემდეგ მინისტრმა, თუ რაოდენ ბევრ რამ გაკეთდა მიმდინარე ხუთწლედში მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფის დონის ამაღლებისათვის. გაიზარდა კოლმეურნეთა პენსიების მინიმალური ოდენობა, პენსიები დანიშნათ კოლმეურნეობების ყოფილ წევრებს კოლმეურნეობებსა და სახელმწიფო დაწესებულებებში, საწარმოებში მუშაობის ეგრეთწოდებული შერეული სტაჟის მიხედვით. დახმარების ოდენობა გაუდიდათ ბავშვობიდან ინვალიდებს, პენსიების დანამატი დაერიცხათ პირველი ჯგუფის კოლმეურნე ინვალიდებს. სხვადასხვა შეღავათი მიეცათ დიდი სამამულო ომის ინვალიდებსა და მონაწილეებს, დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს.

ასიგნებანი ამ მიზნებისათვის წლითიწლობით იზრდება. მაგალითად, შარშან რსფსრ-ში სოციუზრუნველყოფისა და სოციალური დაზღვევის ხაზით 600 მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯა — 74 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე ხუთწლედის დამდეგს.

ვახორციელებთ ღონისძიებებს, რომ პენსიები და დახმარებები დროულად დაინიშნოს და გაიცეს. დიდ მუშაობას ასრულებს პენსიებისა და დახმარების დარიცხვისა და გაცემის რესპუბლიკური ცენტრი. გაუმჯობესებულია ინვალიდთა მომარაგება საზოგადოებრივ — ორთოპედიული ნაწარმით და მათი მომსახურება საექიმო-საექსპერტო კომისიების მიერ, რეკონსტრუირებულია თბილისის საზოგადოებრივ-ორთოპედიული ქარხანა. ამ საწარმოს ფილიალები გაიხსნა სოხუმში, ქუთაისში, ცხინვალში.

ბევრი რამ გაკეთდა ომის ინვალიდთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. მათგან ორი ათასმა უკანასკნელი სამი წლის მანძილზე მიიღო ბინები. შარშან 5 ათასზე მეტმა ომის ვეტერანმა დაისვენა და ჯანმრთელობა გაიკაჟა უფასო საგზურებით ქვეყნის კურორტებზე.

ომის ინვალიდები, რომლებსაც სათანადო სამედიცინო ჩვენება აქვთ, უზრუნველყოფილი არიან უფასო სატრანსპორტო საშუალებებით. ხუთწლედის მანძილზე მათ მიეცათ სამი ათასზე მეტი ხელით სამრთავი „ზაპორეცის“ მარკის მანქანა და მოტოტალი.

განსაკუთრებული ზრუნვით არიან გარემოსილი ხანდაზმულები სახლ-ინტერნატებში. გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინში აგებულია ახალი სახლ-პანსიონატი „კახეთი“, თბილისში აშენდა და ამ დღეებში საექსპლოატაციოდ გადაეცემა პანსიონატი პერსონალური პენსიონერებისათვის. მის ბაზაზე მოეწყობა ინვალიდთა და ხანდაზმულთა შინ მომსახურება (საჭმლის, წამლის მიტანა, ბინის დალაგება). დასახულია აიგოს პანსიონატი და დასასვენებელი სახლები პერსონალური პენსიონერებისათვის ბაზალეთში, ბორჯომში, ქობულეთში.

სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების ყველა ეს ღონისძიება განპირობებულია სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებით. დღეს უკვე შეგვიძლია ვთქვათ: ყველაფერი, რაც პარტიამ ხუთწლედისათვის ამ დარგში დასახა, შესრულებულია.

39 ათასზე მეტი ინვალიდი მონაწილეობს დღეს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. ბევრ მათგანს ახალი, მათი ჯანმრთელობისათვის შესაფერისი სპეციალობის დაუფლებაში დაეხმარნენ ჩვენი სამინისტროს სასწავლო საწარმოები.

საერთაშორისო ცხოვრება
დღევანდელი ჩანაწერიდან

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პარლამენტების წარმომადგენელთა შეხვედრის კომუნიკე

1980 წლის 16-19 ივნისს ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქში, გმირ ქალაქ მინსკში გაიმართა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პარლამენტების წარმომადგენელთა შეხვედრა.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ დელეგაციები: ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრებისა — ამხ. ვ. ბონევის მეთაურობით; გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატისა — ამხ. ჰ. ზინდერმანის მეთაურობით; პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმისა — ამხ. ს. გუცვას მეთაურობით; რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრებისა — ამხ. ნ. ჯოსანის მეთაურობით; საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოსი — ამხ. ა. პ. შიტიკოვის მეთაურობით, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პეზიდიუმისა — ამხ. ი. კატონას მეთაურობით, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალური კრებისა — ამხ. ა. ინდრას მეთაურობით.

შეხვედრას დაესწრნენ ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლები.

შეხვედრის დროს გაიმართა აზრთა გაზიარება ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პარლამენტების საერთაშორისო საქმიანობის საკითხებზე მისი შექმნის 25-ე წლისთავთან დაკავშირებით, განიხილეს მოძმე ქვეყნების პარლამენტების აქტიური ამოცანები ევროპაში დაძაბულობის შენელებისა და უშიშროებისათვის, საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

თავიანთი ქვეყნების პარლამენტთა სახელით შეხვედრის მონაწილენი სავსებით დაეთანხმნენ დასკვნებსა და შეფასებებს, რომელებსაც შეიცავს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ვარშავის თათბირზე მიღებული დეკლარაცია და განცხადება. მათ ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ამ დოკუმენტებში წამოყენებულ წინადადებებს შემდგომი ღონისძიებების შესახებ, რომელთა მიზანია ევროპის კონტინენტზე პოლიტიკური და სამხედრო დაძაბულობის შენელების პროცესის განვითარება, ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელება გამალებული შეიარაღების ალაგმვისა და განიარაღებისათვის, ხალხთა მშვიდობის, დამოუკიდებლობისა და უშიშროების, განმტკიცება, მთლიანად მსოფლიო პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღება.

შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა პარლამენტებმა, მთელმა საზოგადოებრივმა ძალებმა, რომელსაც შეგნებული აქვთ პასუხისმგებლობა მსოფლიოს ბედისათვის, გააძლიერონ მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების, ახალი ომის წარმოშობის შესაძლებლობის თავიდან აცილების ღონისძიებანი. შეხვედრის მონაწილეებმა შესაბამისი მიმართვა გაუგზავნეს ყველა პარლამენტსა და პარლამენტარს.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების პარლამენტთა წარმომადგენლების შეხვედრა მიმდინარეობდა სრული ურთიერთგაგებისა და ძმური მეგობრობის ვითარებაში.

მოკავშირე ქვეყნების პარლამენტთა წარმომადგენლები გეეცნენ გმირი ქალაქის მინსკის ღირსშესანიშნაობებს. ბელორუს მშრომელთა ცხოვრებასა და მიღწევებს. მათ პატივი მიაგეს იმ საბჭოთა ადამიანების ხსოვნას, რომლებმაც მეორე მსოფლიო ომის წლებში უდიდესი მამაცობა და გმირობა გამოიჩინეს ფაშისტ აგრესორთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

თანამეგობრობის მწვერვალებისაკენ

პრაღა, 19 ივნისი. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ერთსულოვნების, ურთიერთგაგებისა და ამხანაგური თანამშრომლობის ვითარებაში ჩაიარა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის XXXIV სხდომამ. სხდომამ დღეს დაამთავრა მუშაობა ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში. იგი მიმდინარეობდა მთავრობათა მეთაურების დონეზე.

სესიის მონაწილეებმა განიხილეს საკითხი, თუ როგორ სრულდება სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის კომპლექსური პროგრამა, თანამშრომლობის გრძელვადიანი მიზნობრივი პროგრამები. მათ დასახეს სოციალისტურ ეკონომიკური განვითარების ძირეული პრობლემების გადაჭრაში მოძმე ქვეყნების ურთიერთმოქმედების გაფართოებისა და გაღრმავების ახალი გზები.

სხდომაზე აღინიშნა, რომ სოციალისტურ და კომუნისტურ მშენებლობაში, ყველა დარგში მოპოვებული მიღწევები, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების თანამშრომლობის გამოცდილება მკაფიოდ მოწმობს სოციალისტური ინტერნაციონალიზმის უძლეველობას.

საბოლოო სხდომაზე ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის, სსრ კავშირის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის, აგრეთვე იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის დელეგაციათა მეთაურებმა ხელი მოაწერეს სესიის XXXIV სხდომის ოქმს.

მთავრობათა მეთაურებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას გამოვლენი ტექნიკის ახალ საშუალებათა შემუშავებასა და წარმოებაში მრავალმხრივი საერთაშორისო სპეციალიზაციისა და კოოპერირების შესახებ. გათვალისწინებულია მომავალ ხუთწლეულში 1976-1980 წლებთან შედარებით ერთიორად გაიზარდოს თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკის ურთიერთმოწოდების მოცულობა.

ხელმოწერილია აგრეთვე სამთავრობათაშორისო გენერალური შეთანხმება მომმე სახელმწიფოების თანამშრომლობის შესახებ, რათა მნიშვნელოვნად გაიზარდოს ნავობის გადამუშავების სიღრმე. ამ პრობლემის გადაჭრას საფუძვლად უდევს უფრო გაუმჯობესებული ტექნოლოგიის დანერგვა ნედლეულის მეორეული გადამუშავებისათვის განკუთვნილი დანადგარებისა და მოწყობილობის წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების ბაზაზე.

სესიაზე მიღებული ახალი გადაწყვეტილებანი ეხება თანამშრომლობის გაფართოებას საბჭოს წევრი ქვეყნების პერსპექტიულ რაიონებში გეოლოგიურ-საძებნელო სამუშაოთა მოწყობაში, სათბობისა და სხვა სახეობათა მინერალური ნედლეულის დაზვერილი მარაგის მატების უზრუნველყოფაში. ეს გადაწყვეტილებანი ითვალისწინებს თანამშრომლობის განვითარებას იმ საქმეში, რომ სათბობის მოპოვებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული დარგები აღჭურვონ თანამედროვე ეკონომიური და მაღალმწარმოებლური მოწყობილობით, გამოიყენონ ენერგიის ახალი წყაროები. დასახულია უახლოეს წლებში შიმუშაონ 2000 წლამდე სათბობ-ენერგეტიკული პრობლემების გადაჭრის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამები.

მიღებულია კომუნიკე, რომელიც პრესაში ქვეყნდება.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის შემდეგი სხდომა გაიმართება 1981 წელს სოფიაში.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ლ. შტროუგალმა, რომელმაც კმაყოფილება გამოთქვა სესიის მუშაობის შედეგების გამო. მან აღნიშნა, რომ სხდომამ ჩაიარა ამხანაგური ურთიერთგაგებისა და ნდობის ვითარებაში.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ს. ტოდორკოვმა.

ამით ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის XXXIV სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

გაპაჰტიურთ ბრძოლა მშვიდობისათვის

ნიუ-იორკი, 20 ივნისი. აქ გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიუმხრობელი ქვეყნების ჯგუფის მორიგი პლენარული სხდომა, რომელზეც განხილეს ახლანდელ ეტაპზე მიუმხრობლობის მოძრაობის მთელი რიგი პრობლემები. მიიღეს გადაწყვეტილება, რომ 1981 წლის დამდეგს დელში საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე მოიწვიონ მიუმხრობელი სახელმწიფოების კონფერენცია თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად.

დისკუსიის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს, რომ ახლანდელ რთულ საერთაშორისო ვითარებაში მიუმხრობლობის მოძრაობა უნდა ეცადოს კიდევ უფრო გააქტიურეს მოქმედება მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განტკიცებისათვის, დაძაბულობის კერების ლიკვიდაციისათვის.

ფართო გამოხმაურება პოვა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის წარმომადგენლის მოწოდებამ, რომ კიდევ მეტი მხარდაჭერა გაუწიონ პალესტინის არაბ ხალხს, რომელიც სამართლიან ბრძოლას ეწევა თავისი ხელშეუვალი უფლებებისათვის, ამასთან დაკავშირებით მიღებულია გადწყვეტილება აქტიურად მოემზადონ პალესტინის საკითხისადმი მიძღვნილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესიისათვის, რომელიც ა. წ ივლისის დამლევს უნდა გაიმართოს.

სხდომის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენება კორეის ნახევარკუნძულზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ. ამ საკითხზე კამათის დროს ორატორებმა გადაჭრით დაგმეს მასობრივი რეპრესიები, რომლებიც დიქტატორულმა რეჟიმმა დაიწყო სამხრეთ კორეის მოსახლეობის წინააღმდეგ.

ფოტოინფორმაცია



ინდონეზიის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში წარმატებით ახორციელებენ მეორე ხუთწლედის გეგმებს. ქვეყნის ყოველ კუთხეში ნაყოფიერი შრომაა გაჩაღებული, აშენებენ სამრეწველო საწარმოებს, ითვისებენ მიწის ახალ ფართობებს, აწესრიგებენ ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშაობას.

სურათზე: ადენის ნავსადგურის მუშები.

ადნ-საპრესის ფოტო.

სადათი მზრუნველობას იჩენს

ბეირუთი. 20 ივნისი. პრეზიდენტ სადათის დავალებით საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ეგვიპტის სხვა კომპეტენტურ ორგანიზაციებს მიეცათ მითითება — თანდათანობით ჩარიცხონ ირანის დამზობილი შაჰის დაახლოებული პირები ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის შესაბამის დიპლომატიურ, სამხედრო და ეკონომიკურ მისიებსა და დელეგაციებში, რომელებიც საზღვარგარეთ მიემგზავრებიან. ამაზე წერს დღეს ლიბანის გაზეთი „ა“ შაბაი“, რომელიც იმოწმებს არაბთა პოლიტიკური წრეებისაგან მიღებულ ცნობებს.

პირველ ეტაპზე ეს განკარგულება ითვალისწინებს ირანის ყოფილი მონარქის მომხრეთა გამოყენებას ეგვიპტის საზღვარგარეთ მიმავალი დელეგაციების ექსპერტებად, კონსულტანტებად, მცველებად და მოსამსახურე პერსონალადაც კი. შემდეგში გადაწყდება საკითხი საზღვარგარეთ ეგვიპტის საზღვრებზე მუდმივ წარმომადგენლობათა შემადგენლობაში ამ კატეგორიის პირთა ჩარიცხვის შესახებ.

სადათის ასეთი დავალება, აღნიშნავს გაზეთი, გამოწვეული იყო ირანის ყოფილი შაჰის პირადი თხოვნით, რომელმაც ეგვიპტის პრეზიდენტთან საუბრის დროს შესჩივლა, რომ პოლიტიკურ ემიგრანტთა მდგომარეობა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში, მიუხედავად იმისა, რომ მათ ჩინებულად ეპყრობიან ეგვიპტის ხელისუფალნი, არ აძლევს მის დაახლოებულ პირებს შესაძლებლობას მუდმივი აშკარა და კონფიდენციალური კონტაქტი იქონიონ ირანის მონარქისადმი სიმპათიით განწყობილ უცხოეთის პოლიტიკურ წრეებთან, აგრეთვე მის აგენტებთან და მომხრეებთან ეგვიპტის ფარგლებს გარეთ.

იმავე წრეებისაგან მიღებული ცნობებით, შაჰმა ამოცანად დაისახა შექმნას ირანელი პოლიტიკური ემიგრანტების . ერთიანი ფრონტი, რომელიც გაფანტულია მთელ მსოფლიოში, ასეთი ფრონტის შექმნა, აღნიშნავს „ა“ შაბი“, შაჰს მიაჩნია ერთ-ერთ ძირითად ეტაპად საბოლოო მიზნის მიღწევისათვის — ირანში ხომეინის რეჟიმის დამხობისა და მონარქიის აღდგენისათვის. შაჰის ასეთ გეგმებს. წერს გაზეთი, სავსებით უჭერს მხარს ამერიკის შეერთებული შტატები. სწორედ ამერიკელებმა შთააგონეს შაჰს იდეა ზემოაღნიშნული თხოვნით მიემართა სადათისათვის და ეს აზრი მათ დაებადათ მას შემდეგ, რაც ირანის დელეგაციის შემადგენლობაში, რომელიც ისლამური კონფერენციის ორგანიზაციის ისლამაბადის უკანასკნელ სესიაზე მონაწილეობდა, ავღანეთის კონტრრევოლუციის წარმომადგენლებიც იყვნენ.

ზემოქმედების მიუხედავად

ვაშინგტონი. 20 ივნისი. დამთავრდა პრეზიდენტ ჯ. კარტერსა და იორდანის მეფე ჰუსეინს შორის აქ მიმდინარე ორი დღის მოლაპარაკება. გაძლიერებული ზეგავლენის მიუხედავად ვაშინგტონმა ვერ დაიყოლია იორდანია მხარი დაეჭირა ეგვიპტე-ისრაელის სეპარატული გარიგებისათვის, რომელიც შემუშავდა და ხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატების ეგიდით. მოლაპარაკების ამ ცენტრალური საკითხის თაობაზე უთანხმოებანი იმდენად სერიოზული აღმოჩნდა, რომ მხარეებმა აირჩიეს არავითარი ერთობლივი განცხადებები არ გამოქვეყნებინათ შეხვედრის შედეგებზე.

მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ წარმოთქმულ მოკლე სიტყვაში მეფე ჰუსეინმა აშკარად აგრძნობინა პრეზიდენტ ჯ. კარტერს, რომ იგი უარყოფს სეპარატულ გარიგებათა კზას. მან აღნიშნა, რომ იორდანია ახლო აღმოსავლეთში „სამართლიანი ყოვლისმომცველი შშვიდობიანი მოწესრიგების“ მომხრე რჩება. ამ მოწესრიგების უზრუნველყოფა შეიძლება მხოლოდ პალესტინის პრობლემის ისეთი გადაჭრის შედეგად, რომელიც ითვალისწინებს „პალესტინელი ხალხისათვის თვითგამორკვევის, დამოუკიდებლობისა და მომავლის მშენებლობის“ კანონიერი უფლების მინიჭებას. მან აღნიმნა, რომ იორდანია კვლავაც არ დაიშურებს ძალ-ღონეს ამ მიზნების მისაღწევად.

მოკლედ

ყოველი მხრიდან

20 ივნისი

● **სოფია.** ოპერატიული სადისპეტჩერო მართვის სისტემა, რომლის დანერგვა დაიწყო სამთო-მამადიერებელ კომბინატ „ბობოვ-დოლში“, საშუალებას მისცემს მას გაზარდოს შრომის ნაყოფიერება, 400-ზე მეტ ტონამდე გაადიდოს ქვანახშირის დღიური ამოღება.

● **დელი.** ინდოეთის ფინანსთა და მრეწველობის მინისტრმა რ. ვენკატარამანმა ქვეყნის პარლამენტს განსახილველად წარუდგინა 1980-81 საფინანსო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი. რ. ვენკატარამანმა ხაზი გაუსვა, რომ ბიუჯეტის პროექტის შედგენისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქვეყნის მზარდი მრეწველობის საჭიროებებს.

● **აკრა.** განიკ არმიამ და პოლიციამ დაიწყეს ფართო მასშტაბის ოპერაცია სპეკულანტთა, კონტრაბანდისტთა, ყალბი ფულის მჭრელთა, აგრეთვე ანტისოციალურ ელემენტთა უკანონო მოქმედების აღსაკვეთად.

ირანის ამბების გამო

ვაშინგტონი, 20 ივნისი. კარტერის ადმინისტრაციამ, რომელიც ამზადებს ახალ აგრესიულ აქციებს ირანისა და ახლო და შუა აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების წინააღმდეგ, სთხოვა კონგრესს ერთიორად — 100 ათას კაცამდე გაადიდოს რეზერვისტთა რიცხვი, რომლებიც „კრიზისს“ შემთხვევაში შეიძლება გაიწვიონ ნამდვილ სამხედრო სამსახურში.

პენტაგონელი სტრატეგები არ მალავენ, რომ რეზერვისტთა რიცხვის გადიდება მათ სპირდებათ, რათა შეავსონ ინტერვენციონისტული „სწრაფი რეაგირების კორპუსის“. შემადგენლობა, რომელსაც ახლა ქმნიან. ეს, კერძოდ, განაცხადა პენტაგონში გამართულ პრესკონფერენციაზე კორპუსის სარდალმა გენერალ-ლეიტენანტმა პ. კელიმ. მან ხაზი გაუსვა, რომ „სწრაფი რეაგირების“ ძალები — ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმის დამკვრელი მუშტი— უკვე მზად არის ოპერაციებისათვის დედამიწის ნებისმიერ წერტილში, და უწინარეს ყოვლისა სპარსეთის უყურისა და ახლო აღმოსავლეთის რაიონში. ორი კვირის განმავლობაში, განაცხადა მან, ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუძლია ახლო. აღმოსავლეთისა და სპარსეთის უყრის ნებისმიერ რაიონში გაგზავნოს 50 ათასი სამხედრო მოსამსახურე.

ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები, რომლებმაც აიღეს ირანის წინააღმდეგ ახალი აგრესიის მომზადების კურსი, ახორციელებენ რეპრესიებს იმ ამერიკელების მიმართ, რომლებიც აკრიტიკებენ თეთრი სახლის საშინ პოლიტიკას. ამ აღვირახსნილი კამპანიის ცენტრში აღმოჩნდნენ ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი იუსტიციის მინისტრი რ. კლარკი და ამერიკელ იურისტთა დელეგაციის სხვა წევრები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ირანის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული აქციების გამომძიებელ საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც ამას წინთ გაიმართა ირანში. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სენატმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მოუწოდებს ადმინისტრაციას შეუფარდოს ამ „ურჩ ამერიკელებს“ ყბადაღებული ლოგანის 1798 წლის კანონი. ამ რეზოლუციით სენატმა ფაქტობრივად სანქცია მისცა კლარკის სასამართლო და ადმინისტრაციულ დევნას. ამ რეპრესიების მიზანი აშკარაა— ბურთი ჩასჩარონ პირში იმ ამერიკელებს, რომლებიც ამხილებენ კარტერის ადმინისტრაციის არაშორსმჭვრეტელურ კურსს ირანის მიმართ.

ნიუ-იორკი. ვაშინგტონი ყოველნაირად უწევს წინააღმდეგობას იმას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გამოქვეყნდეს სპეციალური მოხსენება, რომელიც მოამზადეს ირანში საერთაშორისო კომისიის ამასწინანდელი მოგზაურობის შედეგად. ამ დოკუმენტში ჩამოყალიბებულია ირანის პრეტენზიები ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ, რომელიც ათეული წლების განმავლობაში მხარს უჭერდა შაჰს პირსისხლიან დიქტატურას. ამერიკის შეერთებული შტატების მისიის ოფიციალურმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები წინააღმდეგია ამ მოხსენების გამოქვეყნებისა.

განვიხილავთ კანონის პროექტს

ცხოველთა სამყარო ადამიანისათვის უდიდეს ფასეულობას წარმოადგენს. იგი ბეწვეულის, ხორცის, ტყავისა და სხვა პროდუქტების წარმოების წყაროა. დიდია აგრეთვე ცხოველთა სამყაროს მეცნიერულ-კვლევითი და კულტურულ-გამაჯანსაღებელი მნიშვნელობა. ნადირობა არა მარტო ნადირ-ფრინველთა რეწვა, არამედ სასარგებლო სპორტული საქმიანობაც არის, რაც ხელს უწყობს მშრომელთა სრულფასოვან დასვენებას, ჯანმრთელობის განმტკიცებას.

ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ კანონის პროექტში განსაზღვრულია ცხოველთა სამყაროს დაცვის და გამოყენების შესახებ საბჭოთა კანონმდებლობის ამოცანები, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენციაა ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების დარგში, საკანონმდებლო წესით განმტკიცებულია ცხოველთა სამყაროზე სახელმწიფო საკუთრების უფლება.

აქვე მითითებულია ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენებისადმი მმართველობის განმახორციელებელი ორგანოები, რომელთა შორის, სრულიად სამართლიანად, საგანგებო ყურადღება ეთმობა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს, რომლებიც კანონის ძალით „კოორდინაციასა და კონტროლს უწევენ მათს ტერიტორიაზე მდებარე ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობას ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების დარგში“. არანაკლები უფლებამოსილება აქვს ამ საქმეში პროფკავშირულ და ახალგაზრდობის ორგანიზაციებს, ბუნების დაცვის საზოგადოებებს, მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებებს, სამეცნიერო საზოგადოებებს, მოქალაქეებს. ისინი სახელმწიფო ორგანოებს ეხმარებიან ცხოველთა სამყაროს დაცვისა და მისი რაციონალური გამოყენების ღონისძიებათა შესრულებაში, აგრეთვე ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენებისადმი კონტროლის განხორციელებაში. კანონპროექტში განსაზღვრულია ამ ღონისძიებებში საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოქალაქეთა მონაწილეობის წესი.

კანონპროექტში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ცხოველთა სამყაროთი სარგებლობაზე. ამ საკითხს ეხება მეორე ნაწილი, ხოლო მესამე ნაწილი მთლიანად ეხება ცხოველთა სამყაროს დაცვას. მე-20 მუხლში ჩამოთვლილია ცხოველთა სამყაროს დაცვის ღონისძიებები, ხოლო 21-ე მუხლი მოითხოვს ამ ღონისძიებათა გათვალისწინებას ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებში და მათ შესრულებას.

მეტად მნიშვნელოვანია იმის მოთხოვნა, რომ ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც გავლენას ახდენს ცხოველთა სამყაროს მდგომარეობაზე, ბინადრობის მდგომარეობაზე, გამრავლების პირობებზე, უნდა ხორციელდებოდეს ცხოველთა სამყაროს დაცვის უზრუნველყოფის შესაბამისად. ყამირი მიწებისა და დაჭაობებული ტერიტორიების ათვისების, ტყეთსარგებლობის დროს უნდა ხორციელდებოდეს ღონისძიებათა სისტემა ცხოველთა ბინადრობის გარემოსა და გამრავლების პირობების შენარჩუნებისათვის. უფრო მეტიც, კანონპროექტი მოითხოვს ასეთ ვითარებაში იმ უბნების ხელშეუხებლობას, რომლებიც განსაკუთრებული ღირებულებაცაა ცხოველთა ბინადრობისა და გამრავლებისათვის. დღეისათვის პრაქტიკაში იშვიათად თუ სრულდება ეს მოთხოვნები, რაც, რა თქმა უნდა, დიდ ზიანს აყენებს ცხოველთა სამყაროს.

იქნებ ასე ჯობდეს!

ცხოველთა სამყაროს

დაცვა და მისი

გამოყენება

კანონის პროექტს დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ გვაქვს რამდენიმე შენიშვნა:

პროექტის 37-ე მუხლი ითვალისწინებს იმ პირთა სისხლისსამართლებრივ, ადმინისტრაციულ ან სხვაგვარ პასუხისმგებლობას, რომელთაც ბრალი მიუძღვით ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ კანონმდებლობის დარღვევაში. მაგრამ კონკრეტულად

ცხოვრების დიდ გზაზე...

უკან დარჩა ძიებებითა და ოცნებებით აღსავსე ლაღი სტუდენტური წლები, მოლოდვარე გამოცდები და აი, ჩვენს კვეყანას შეეძლება უმაღლეს სასწავლებელთა ათიათასობით კურსდამთავრებული ახალგაზრდა სპეციალისტი. ეს მოღიმარი ქალიშვილები თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გერმანული ენის ფაკულტეტის კურსდამთავრებულნი არიან. მალე ისინი მხარში ამოუდგებიან თავიანთ უფროს კოლეგებს და მათთან ერთად შეასრულებენ პედაგოგის რთულ პროფესიას.

ჯ. ლომსაძის ფოტო.

ქართული მუსიკის დიდოსტატი

ლ. პოლიაკოვას მონოგრაფია „ოთარ თაქთაქიშვილი“

„ახალ ნაწარმოებებზე მუშაობას, საინტერესო ჩანაფიქრებს — ყოველივე ამას თან ახლავს უდიდესი ორგანიზატორული და საზოგადოებრივი საქმიანობა. ხანდახან ნამდვილად გაკვირს ხოლმე კაცს, როგორ მოასწრო ერთმა ადამიანმა ამდენი რამის გაკეთება არასრული 25 წლის განმავლობაში! ასე გგონია, ერთი კი არა, ორი ან სამი სიცოცხლე ჰქონია ერთდროულად“. ლ. პოლიაკოვა მონოგრაფიის ეს სიტყვები ზუსტად განსაზღვრავს ქართული მუსიკის გამოჩენილი ოსტატის ოთარ თაქთაქიშვილის განვლილ გზას და დღევანდელობას. ეს წიგნი შარშან გამოსცა მოსკოვის გამომცემლობა „სოვეტსკი კომპოზიტორმა“.

ოთარ თაქთაქიშვილი იმ საბჭოთა კომპოზიტორების რიცხვს ეკუთვნის, რომელთა შემოქმედებაც საინტერესოდ და თავისთავადად წარმოგვიდგა ჯერ კიდევ 50-იან წლებში და ახალ მწვერვალებს მიაღწია მომდევნო ათწლეულებში. მისი ოპერები „მინდია“ და „სამი სიცოცხლე“, ორატორია „რუსთაველის ნაკვალევზე“, ვოკალურ-სიმფონიური „გურული სიმღერები“, პირველი საორკესტრო კონცერტი ფორტეპიანოსათვის, საორკესტრო კონცერტინო ვიოლინოსათვის, რომანსები ვაჟა-ფშაველას ლექსებზე მსმენელთა დიდმა აუდიტორიამ აღიარა ჩვენს ქვეყანაშიც და საზღვარგარეთაც. ეს ჩამოთვლა, რომელიც არცთუ სრულია, დამაჯერებლად მოწმობს, თუ რა ფართოა კომპოზიტორის მხატვრული ინტერესების სფერო, რა მდიდარია მისი შემოქმედების ჟანრული პალიტრა.

მარად ლამაზი ხალხური მისამღერი, რომელსაც თითქოს არ შეხებია ოსტატის ხელი, და ინტონაციური გამოხატვა ჩვენი სინამდვილისა, მისი ვიბრაცია ღელვა, სწრაფი წინსვლა, სიმფონიის, კონცერტის, სიმფონიური პოემის რთული ჟანრები და მუსიკა, რომელიც ორგანულად ერწყმის პოეტურ სიტყვას, რაც გინდა იყოს იგი — კანტატა, ორატორია თუ კამერულ-ვოკალური ციკლი; ნოვატორობა, ეროვნული მუსიკალური კულტურის ჰორიზონტების გაფართოების თამამი ცდა და ცხოველმყოფელ ეროვნულ ტრადიციებზე დარყდნობა — ასეთია ოთარ თაქთაქიშვილის შემოქმედებითი პორტრეტი და ასეთი დავინახეთ იგი ლ. პოლიაკოვას მონოგრაფიის ფურცლებზეც.

მონოგრაფიის პირველი თავის სათაურია „კომპოზიტორის გზის ეტაპები“. სასიხარულოა, რომ კომპოზიტორის მხატვრული ინდივიდუალობის, მისი შემოქმედებითი ზრდის დახასიათება მოცემულია მთელი საბჭოთა და განსაკუთრებით ქართული მუსიკალური კულტურის საერთო განვითარების კონტექსტით. მომდევნო თავებში განსაკუთრებით საინტერესოა ის ადგილები, რომლებიც ეძღვნება ოპერა „მინდიას“ და ორატორიას „რუსთაველის ნაკვალევზე“.

ბოლო თავის დასასრულს, როშელსაც ჟტორმა „დაუმთავრებელი თავი“ უწოდა, ნათქვამია: „შეუძლებელია შეაჯამო შეიდგები, როცა ისეთ ადამიანზე ვერ, რომელიც დაუცხრომელი, მზარდი შემოქმედებით, ახალ-ახალი ჩანაფიქრებითა და მხატვრული იდეებით ცხოვრობს. მთავარია ის, რომ თანამედროვეობის ცხოველ მაჯისცემას მუდამდღე ეხმიანება მისი გული, მისი ხელოვნება რომ ეს მაჯისცემა გადაეცემა იმათ, ვინც უსმენს მას, ვისაც აღელვებს და აფიქრებს იგი. ჭეშმარიტი ხელოვნების ამოცანაც ხომ ეს არის, და გვწამს, რომ კიდევ არაერთგზის აგვაღელვებს ოთარ თაქთაქიშვილის ახალ-ახალი ნაწარმოებები. აი, რატომ უნდა დარჩეს ამ წიგნის ბოლო თავი დაუმთავრებელი...“. ამ სიტყვების სისწორეს შესანიშნავი ოსტატის დღევანდელი მრავალმხრივი და ღრმაშინაარსიანი მოღვაწეობა ადასტურებს.

ვლ. ბლოკი,
კომპოზიტორი, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.
მოსკოვი.

ტრადიციას აგრძელებენ

ცხაკაიას სახალხო თეატრის სცენაზე

ცხაკაიას მშრომელები ამაყობენ თავიანთი რაიონის თეატრალური წარსულით. პირველი სპექტაკლი აქ 1881 წლის 8 თებერვალს დადგმულა. წარმოუდგენიათ მოლიერის „ძალად ექიმი“ და გ. ერისთავის კომედია „გაყრა“. ორივე სპექტაკლი მაყურებელს გულთბილად მიუღია. გაზეთი „დროება“ აღნიშნავს: „ახალსენაკის პირველი სცენისმოყვარეები დიდი ხალისით მოჰკიდებიან საქმეს. მეუხეადავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი თეატრს არც კი იცნობდა, მაინც მშვენივრად შეუსრულებიათ ნაკისრი როლები, ესენი იყვნენ ვ. დადიანი, მ. ხოფერია, ბ. ბებურიშვილი, ნ. მხეიძე, დ. ყვანია და სხვები. დიდი მადლობის ღირსნი არიან ქალები, რომლებმაც არათუ იუარეს სცენაზე თამაში, არამედ მშვენივრად ითამაშეს და ამის მაგალითი მისცეს სხვებს“.

გარდა ქართულისა, ამ დროისათვის იმართებოდა რუსული წარმოდგენებიც. სცენისმოყვარენი მათ საქველმოქმედო მიზნით დგამდნენ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ცხაკაიაში კარგა ხანს მუშაობდა სახელმწიფო თეატრი. წინაპაპთა ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელია სახალხო თეატრის ნიჭიერი კოლექტივი, რომელიც 1959 წელს შეიქმნა დრამატული კოლექტივის ბაზაზე. ამ წლიდან მოყოლებული დღემდე თეატრი ყველა რესპუბლიკური დათვალიერების და ფესტივალის აქტიური მონაწილეა და დამსახურებულ გამარჯვებასაც აღწევს.

სწორედ ცხაკაიას თეატრალური ცხოვრების მდიდარმა ტრადიციებმა განაპირობა მიმდინარე წლის 14 იანვარს ცხაკაიაში ქართული თეატრის დღის ტრადიციული დღესასწაულის აღნიშვნა, რომელზეც წარმოადგინეს სახალხო თეატრის დადგმა — ალ. ჩხაიძის „შთამომავლობა“.

ცხაკაიელთა სახალხო თეატრის წარმოდგენები ყოველთვის გამოირჩეოდა კარგი შესრულებით, საინტერესო მხატვრული და მუსიკალური გაფორმებით. თეატრი ცდილობდა და ცდილობს ფეხდაფეხ მიჰყვეს საბჭოთა ხალხის ცხოვრებას, აქტიურად გამოეხმაუროს თანამედროვეობას. ამიტომაც დარბაზი სავსეა, რაც ძალსა და ენერგიას მატებდა დასის წევრებს ახალი ამაღლებული და მართალი წარმოდგენების შექმნაში. მაგრამ ამ ბოლო წლებში თეატრმა რატომღაც შეანელა მუშაობა და მაყურებელთა გულისწყრომაც სამართლიანი იყო. ახალმა წარმოდგენამ — „ლაშა თაბუკაშვილის პიესის „დარაბებს მიღმა გაზოგნულია“ — დადგმამ კი კვლავ გააბარა ცხაკაიელები. დიდი პასუხისმგებლობით უმუშავნიათ შემოქმედებითს კოლექტივს და რეჟისორ მზია ქირიას (ეუბიშევის სახელმწიფო კულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებული). ეს მისი დებიუტი იყო და, უნდა ითქვას, რომ გამოცდამ კარგად ჩაიარა. მის მიერ ორიგინალურად გადაწყვეტილმა რეჟისორულმა ნამუშევარმა, საკავშირო ფესტივალის ლაურეატ გ. ბარქაიას მხატვრულმა გაფორმებამ, წარმოდგენის შესატყვისმა მელოდიურმა მუსიკამ (გაფორმება ბ. სირიანი), ნიჭიერი თვითმქმედი მსახიობების, საკავშირო ფესტივალის ლაურეატების გ. ბაბუჩიძის გ. ჯაველიანის, ჟ. დამენიას, ნ. ჯაიანის, გ. ლოხიშვილის, თ. თოფურიძის, გ. ცაგარეიშვილის გააზრებულმა თამაშმა განსაზღვრა სპექტაკლის წარმატება.

თეატრმა არ უნდა დაივიწყოს წინაპაპთა მდიდარი ტრადიციები და კვლავაც ეცადოს შემოქმედებითი სიხარული მიანიჭოს მაყურებელს.

ნ. ბოდვართელი.

უაზარი

უძლიერესის სახელისათვის

საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა (უმაღლესი ლიგა) ჩემპიონატი გადამწყვეტ ფაზაში შედის. გუშინ გათამაშდა მეთერთმეტე ტურის პარტიები. გთავაზობთ შედეგებს:

ეფიმოვმა დაამარცხა ჩიქოვანი, ნეიურონოვმა — ჩაჩიბაია, ხოლო აზმაიფარაშვილმა — ჩიგოგიძე. ზაიჩიკისა და გ. გიორგაძის შეხვედრაში ყაიმი აღინიშნა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

თერთმეტი ტურის შემდეგ დიდებული შედეგით ლიდერობს აზმაიფარაშვილი, რომელმაც 9,5 ქულა დააგროვა და ამასთან ერთი გადადებული პარტია აქვს. ნანა ალექსანდრია 8 ქულითა და 1 გადადებული პარტიით მეორე ადგილზეა. მომდევნო ადგილებზე არიან სტურუა — 7,5 ქულა (2 პარტია გადადებული აქვს), ზაიჩიკი — 7,5, გედეონაშვილი — 6,5 (2).

დღეს გაიმართება გამოტოვებული შეხვედრები და გადადებული პარტიების დამთავრება.

ნ. კეკელია.

საგურნირო ორბიტა

ტანვარჯიში. მოსკოვში დაწყებულ საკავშირო თასის გათამაშებაში ვაჟთა შორის სავალდებულო პროგრამის შესრულების შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო ლენინგრადელმა ა. დიტიატინმა — 57,75 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან ერევნელი ე. აზარიანი (57,35) და ლვოველი ბ. მაკუცი (57,15). ქალთა შორის დაწინაურდნენ როსტოველი ნ. ზაპოშნიკოვა (38,9), კიეველი ს. ზახაროვა და კრასნოიარსკელი ე. ნაიმუშინა (38,5-38,5 ქულა).

სროლა. მოსკოვში მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატში კარგად ისასპარეზა მიხსკელმა ა. გაზოვმა. მან „გაქცეულ ტახზე“ სროლაში 590 ქულა დააგროვა და ყველას აჯობა. მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლილი სროლაში უძლეველი იყო ალმაათელი პ. პოლიაკი — 598. მას გამარჯვება დამატებითს სეიჩაიში სროლის შემდეგ მიეკუთვნა.

ბადრაკი. ოდესაში მიმდინარე ქალთა მსოფლიო პირველობის მეოთხედფინალური მატჩის მეშვიდე პარტია ტატიანა ლემაკოსა (ბულგარეთი) და მარტა ლიტინსკაიას შორის (სსრ კავშირი) გადაიდო. მეორე დღეს ლიტინსკაიამ ეს პარტია გამარჯვებამდე მიიყვანა და ახლა ანგარიშია 4,5:2,5 მის სასარგებლოდ.

ერევანში გრძელდება მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო ასპარეზობა. 12 ტურის შემდეგ 9 ქულით ლიდერობს არშაკ პეტროსიანი. რომანიშინა (ერთი გადადებული პარტიით) და ცეშკოვსკის 8,5-8,5 ქულა აქვთ. 8 ქულით ტალი მეოთხე ადგილზეა.

ძველ ოლიმპიაში — ოლიმპიურ ასპარეზობათა სამშობლოში მოსკოვის ოლიმპიადის ცეცხლი რომ აინთო, მკითხველმა უკვე იცის. ამჯერად გთავაზობთ სურათს, რომელზეც აღბეჭდილია ცეცხლის ანთების ცერემონიალი.

სურათზე: ცეცხლს ანთებს ბერძენი მსახიობი მარია მოსკოლიუ.

საკდისისა და საკინფორმის ტელეფოტო.

ოლიმპიურ ჯაღლაგე

რაც დრო გადის, მით უფრო გვიახლოვდება მოსკოვის ოლიმპიადა. ახლა ყველა ელის იმ დღეს, როცა საზეიმოდ გაიხსნება მსოფლიოს სპორტსმენთა ეს დიდი ფორუმი. მოსკოვი სამასპინძლოდ უკვე მზად არის, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ოლიმპიური კომიტეტები უკვე აცხადებენ გუნდების შემადგენლობას. მათ არც ჟურნალისტები ჩამორჩებიან. მაგალითად, შვეიცის რადიო მოსკოვის ოლიმპიადის გაშუქებას დღეში 13 საათს დაუთმობს. ასეთივე გეგმები აქვს ამ ქვეყნის ტელევიზიასაც. მათ გარდა ოლიმპიადის მსვლელობაზე თავიანთ მკითხველებს მოუთხრობენ ჟურნალისტებიც.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი

ცისფერ ეკრანზე

საქართველოს ტელევიზიის ერთი ქვირის პროგრამა

23 ივნისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 17.00 — აბიგურიენგოთათვის — ბიოლოგია (ფ.), 17.30 — მოსწავლეთათვის — „და ისევ სიმღერა“ (ფ.), 18.00 — პოლონური საგილევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია“. მეთორმეტე სერია (ქართულ ენაზე), 19.00 — „ქართული თეატრის წარსულიდან“ (ფ.). 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოწინავე კამოცდილება — საყოველთაო სახალხო მონაპოვარია“ (მ.), 20.30 — „მოამბე“ (ფ.), 21.00 — „ეიწვევთ საოჯახო კლუბი“ (ფ.), 21.40 — მულტიკაციური ფილმი, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.45 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე: მოსკოვის „ტორპედო“ — თბილისის „დინამო“ (22 ივნისის მატჩის მეორე ტაიმის ვიდეოჩანაწერი), 23.30 — ახალი ამბები (ფ.),

მეორე პროგრამით: 16.00 — სტუდენტებისათვის — ფილოსოფია (ფ.), 16.45 — განცხადებები (ფ.), 16.50 — „ქართული მწერლობა საკავშირო ასპარეზზე“ (ფ.), 17.50 — მასწავლებლის საათი — ხაზვა (ფ.), 18.35 — „ჩვენს დიდ სამშობლოში. საგილეგიზიოთ დოკუმენტური ფილმი „ვინ მინდა გავხდე“ (ფ.) ,19.00 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სათვალიანი“ (ფ.).

24 ივნისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.50 — დილის ვარჯიში (მ.), 17.00 — აბიგურიენგოთათვის — ქართული ენა (ფ.). 17.30 — განცხადებები (ფ.), 17.35 — შვეიცარიელთა ინგლისური ენა (ფ.), 18.05 — პოლონური საგილეგიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია“. მეთორმეტე სერია (ქართულ ენაზე), 18.55 — „თოფჯინების თეატრი პოლონეთში“ (ფ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“ (ფ.), 20.30 — „სიმღერის უკვდავება“ (ფ.), 21.40 — „კინო და სპორტი“. საგილეგიზიო დოკუმენტური ფილმი „ოლიმპიური ხასიათი“ (ფ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.45 — მუსიკალური გადაცემა „ახალი ლაურეატები“ (ფ.), 23.25 — ახალი ამბები (ფ.).

მეორე პროგრამით: 16.00 — სტუდენტებისათვის — თეორიული მექანიკა (ფ.), 16.45 — განცხადებები (ფ.), 16.50 — ლიტერატურული გადაცემა „აქ... წინანდალში“ (ფ.), 18.05 — მულტიკადიკაციური ფილმები, 18.30 — „ჩვენს დიდ სამშობლოში“. საგილეგიზიო დოკუმენტური ფილმი „მონაზე შენი ორბიგა“ (ფ.), 19.00 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები: „გუნდის მომდიერალი ქალი“, „ქალაქი კავკასიაში“, 19.40 — მულტფილმი.

25 ივნისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.) ,09.50 — დილის ვარჯიში (მ.) 17.00 — აბიგურიენგოთათვის — მათემატიკა (ფ.), 17.30 — განცხადებები (ფ.), 17.35 — შვეიცარიელთა გერმანული ენა (ფ.), 18.05 — პოლონური საგილეგიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „მიზანი. რომელიც სიცოცხლეზე მეტია“. მეცამეტე სერია (ქართულ ენაზე), 19.00 — მულტფილმი, 19.15 — ციკლიდან „კომუნისტები“ — „შეიარაღებული ბრიგადა (ფ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“ (ფ.), 20.30 — „ქართული ენა“ (ფ.). 21.15 — „ეროვნული ანსამბლი „ბაბანები“ (ფ.), 21.40 — „ეროვნული ანსამბლი „ბაბანები“ (ფ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.45 — „ეროვნული ანსამბლი „ბაბანები“ (ფ.), 23.25 — ახალი ამბები (ფ.).

მეორე პროგრამით: 16.00 — სტუდენტებისათვის — მექანიზმებისა და მანქანების თეორია (ფ.). 16.45 —განცხადებები (ფ.), 16.50 — საგილეგიზიო სპექტაკლი „გაკვეთილები“. ნაწილი პირველი. საქართველოს გელეგიზის დადგმა (ფ.), 18.10 — მულტიკადიკაციური ფილმი, 18.20 — საგილეგიზიო სპექტაკლი „გაკვეთილები“. ნაწილი მეორე (ფ.), 19.05 — საგილეგიზიო დოკუმენტური ფილმი „დიდი „პაგარა“ როლი“.

26 ივნისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ)., 09.50 — დილის ვარჯიში (მ.), 17.00 — აბიგურიენგოთათვის — ფიზიკა (ფ.), 17.30 — განცხადებები (ფ.), 17.35 — უმცროსკლასელთათვის — ჩვენ ვსწავლობთ ოთხენურად ენას (ფ.), 18.05 — „ეროვნული ანსამბლი „ბაბანები“ (ფ.), 18.30 — „ეროვნული ანსამბლი „ბაბანები“ (ფ.), 19.00 — „ეროვნული ანსამბლი „ბაბანები“ (ფ.), 19.45 — „ეროვნული ანსამბლი „ბაბანები“ (ფ.), 20.00 — „ეროვნული ანსამბლი „ბაბანები“ (ფ.), 20.30 — „ეროვნული ანსამბლი „ბაბანები“ (ფ.), 21.00 — „ეროვნული ანსამბლი „ბაბანები“ (ფ.), 21.40 — „ეროვნული ანსამბლი „ბაბანები“ (ფ.), 22.00 — „ეროვნული ანსამბლი „ბაბანები“ (ფ.), 22.45 — „ეროვნული ანსამბლი „ბაბანები“ (ფ.), 23.35 — ახალი ამბები (ფ.).

მეორე პროგრამით: 16.00 — სტუდენტებისათვის — მექანიზმებისა და მანქანების თეორია (ფ.). 16.45 —განცხადებები (ფ.), 16.50 — საგილეგიზიო სპექტაკლი „გაკვეთილები“. ნაწილი პირველი. საქართველოს გელეგიზის დადგმა (ფ.), 18.10 — მულტიკადიკაციური ფილმი, 18.20 — საგილეგიზიო სპექტაკლი „გაკვეთილები“. ნაწილი მეორე (ფ.), 19.05 — საგილეგიზიო დოკუმენტური ფილმი „დიდი „პაგარა“ როლი“.

27 ივნისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 —დილის ვარჯიში (მ.), 17.00 — აბიგურიენგოთათვის — ქიმია (ფ.), 17.30 — განცხადებები (ფ.), 17.35 — შვეიცარიელთა ფრანგული ენა (ფ.), 18.05 — პოლონური საგილეგიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია“. ეთოთხმეტეე სერია (ქართულ ენაზე), 19.00 — „ეროვნული „კარი“ (ფ.). 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“ (ფ.), 20.30 — „ყრილობაზე ითქვა — რა გაკეთდა“ — „მეტი ყურადღება სახალხო მოხმარების საქონელს“, 21.00 — „დღესასწაული ალიოშა ჯაფარიძის სამშობლოში“ (ფ.) 21.30 — „ვერნისაჟი“ (ფ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „ამფიეიბული ლექსი“ (ფ.), 23.45 — ახალი ამბები (ფ.).

მეორე პროგრამით: 16.00 — მასწავლებლის საათი — ბიომეტრია (ფ.), 16.45 — განცხადებები (ფ.), 16.50 — მხატვრული ფილმი — „ჰორიზონტები“, 18.05 — მეცრის ანსამბლი „ზვიდკაცა“ (ფ.), 18.35 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.45 — საგილეგიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩვენი თეატრის შესახებ“.

28 ივნისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.05 — შვეიცარიელთათვის ქართული ენა (ფ.). 10.35 — „თქვენთვის ეშმაკობო!“ (მ.), 11.05 — „შეხვედრა ბელეკერელებთან“ (ფ.), 12.05 — პოლონური საგილეგიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „მიზანი რომელიც სიცოცხლეზე მეტია“. მეცამეტე სერია (ქართულ ენაზე), 13.00 — „ადამიანი და ბუნება“ (ფ.), 13.40 — „თბილისი და თბილისელები“ (ფ.) 14.10 — „ბულგარული ანიმაციური ფილმი, 14.20 — „ბავშვთა ბალეტი“ (ფ.), 14.40 — „ციფრ სმეფარიში“ (ფ.), 15.40 — მოსწავლეთათვის — „ეზა მშვენიერებისაკენ“ (ფ.), 16.20 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის (ფ.), 17.05 — მუსიკალური შესვენება, 17.10 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის, 18.10 — „ცხოველთა სამყაროში“ (მ.), 19.10 — „ბადაცემა „ზღვა და სიმპაუკი“, 19.40 — მულტიპლიკაციური ფილმი. 19.50 — „მეცხრე სტუდია“ (მ.), 20.50 — „კინონარკვევი, 21.00 — „მოამბე“ (ფ.), 21.30 — „კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „ქართული „კომედიის საღამო“ (ფ.),

მეორე პროგრამით: 16.00 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „ტრაგკას თავგადასავალი“ (ფ.), 17.05 — მულტიპლიკაციური ფილმები, 17.55 — „საესტრადო პანორამა“ (ფ.), 18.30 — მხატვრული ფილმი „ლუბავინების აღსასრული“ (ფ.), 20.00 — „ესტაფეტა“ (ფ.).

29 ივნისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — „ციროდილას ეკრანი“, 10.00 — „შვეიცარიელთა ფრანგული ენა (ფ.), 10.30 — „ბაღვიძარა“ (მ.), 11.00 — „სამეურნეო მექანიზმები — სიახლენი, პრობლემები“ (გაგნმეორებით, ფ.). 11.45 — „ლიტერატურული ცხოვრება“ (ფ.), 12.45 — „ფილმი „ფოსტა“. მუსიკალური პროგრამა (მ.), 13.20 — „ტელეკურსელთათვის — ქართული ენა და ლიტერატურა (ფ.), 13.50 — მულტიპლიკაციური ფილმი, 14.00 — „მოდა... მოდა“... (ფ.). 14.30 — ციკლიდან „კომუნისტები“ — ომარ ჯიდელაშვილი. 15.00 — „ჯინოფიშმა“, 15.30 — „ვესტნიკი“ (ფ.), 16.00 — „კინოს მოგზაურთათვის“ (ფ.), 17.25 — „ახალგაზრდობა ირჩევს პროფესიას“, 18.00 — „დიადი წიგნის ფურცლები“ — ფილმი მიიძღვნა. „ერი-გულება“ (მ.), 19.00 — „საერთაშორისო პანორამა“ (მ.), 19.45 —„მუსიკალური ფოსტა“ (ფ.), 20.30 — „მოამბე“ (ფ.), 21.00 — „კინომოგზაურობის კლუბი“ (მ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „მე მხარში მიდგას ჩემი დიდი დრო!“ — საბჭოთა ახალგაზრდობის დღისადმი მიძღვნილი გადაცემა (ფ.).

მეორე პროგრამით: 14.05 — საგილეგიზიო დოკუმენტური ფილმი „ზეაღური“ (ფ.), 15.05 — „ასპართობი კინოპროგრამა — ბავშვებისათვის, 16.05 — „შემოქმედებითი პროგრამები“ — რეგიონ თავართქილაძე (ფ.), 17.10 — მხატვრული ფილმი „როცა ნისლი იფანტება“ (ფ.).

რა მოვისმინოთ

საქართველოს რადიოს ერთი ქვირის პროგრამა



23 ივნისი

პირველი პროგრამით: 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.38 — ჩვენი მთა-ბარის ჰანგები, 06.50 — „სოფლის ლიანა“, 07.31 — დილის კონცერტი, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.), 08.37 — მელოდიიდან მელოდიამდე, 10.00 — გაზეთ „პრავდის“ ფურცლებზე (მ.), 11.10 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა, 11.20 — ს. პროკოფიევი. უვერტიურა კამერული ორკესტრისათვის, 11.45 — „ბეთოვენი. „ეროიკა“, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — ბ. -ნიშნიანიძის ლექსები, 12.30 — ქართველ კომპოზიტორთა საფორტეპიანო პიესები, 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — ეკანის მელოდიები, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — ს. ციმცაძე ბალეტ „ცისფერი მთა“ საუნჯის“ ფრაგმენტები, 14.00 — — „ლიტერატურული კითხვა“ — კ. ლორთქიფანიძე. „კოლტეთის ცისკარი“. რომანი (გაგრძელება), 14.20 — ბ. ბრენიკოვი. საორკესტრო მუსიკა, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ნ. გაბუნია. ვოკალურ-ინსტრუმენტული პიესა „იგავი“, 17.35 — მოსწავლეთათვის. კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 18.10 — „მელოდია, რიგმი, განწყობილება“. კონცერტი, 19.00 — „25-ე ყრილობაზე ითქვა — რა გაკეთდა“. „საუბარი ხუთწლედის მიღწევა აღებულია“, 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.40 — „საერთაშორისო ცხოვრების აქტუალური პრობლემები“ (მ.), 20.00 — უკანასკნელი ცნობები, 20.30 — „ისპანმლებში ნაპოვნი სიმღერები“. რადიოკომპოზიცია (მ. ფოცხიშვილის დაბადების 50-ე წლისთავის გამო), 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 რადიოსადგური „სიმპაუკე“, 22.00 — კონცერტი რ. ლაღიძის ნაწარმოებებიდან, 23.30 — საესტრადო რიგმები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

24 ივნისი

პირველი პროგრამით: 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.38 — ჩვენი მთა-ბარის ჰანგები, 06.50 — „სოფლის ლიანა“, 07.31 — დილის კონცერტი, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.), 08.37 — მელოდიიდან მელოდიამდე, 09.45 — ო. თაქთაქიშვილი. ნაწყვეტები ოპერიდან „მინდია“, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მ.), 11.10 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა, 11.20 — მსუბუქი მუსიკა, 11.45 — „ოთხ ვხედვებით ყრილობას“. საუბარი „ფზნენლების მეგალურგია: პრობლემები, პერსპექტივები“, 12.15 — ფ. შოპენი. რონდო საფორტეპიანო დუეტისათვის, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — კ. ნადირაძის ლექსები, 12.30 — მეერის ს. როგარუ, 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — ა. ბალანჩივაძე. საორკესტრო პიესები, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — ოსური ხალხური მელოდიები,14.00 — „ლიტერატურული კითხვა“. კ. ლორთქიფანიძე. „კოლტეთის ცისკარი“. რომანი (გაგრძელება), 14.20 — „ბ. ბრენიკოვი. საორკესტრო მუსიკა, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ნ. გაბუნია. ვოკალურ-ინსტრუმენტული პიესა „იგავი“, 17.35 — მოსწავლეთათვის. კონცერტი. ა. გლაზუნოვის ნაწარმოებები, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.35 — მოსწავლეთათვის. „წიგნის თარო“, 18.00 — „თბილისის ანალი ამბები“, 18.10 — „მელოდია, რიგმი, განწყობილება“. კონცერტი, 19.00 — „ბილიოთეკა ლენინური უნივერსიტეტი“. საუბარი „შრომის ღისციპლინა და ეფექტიანობა“, 19.20—დ. თორაძე. ბალეტ „გორდას“ ნაწყვეტები, 19.40 — ეკანის მელოდიები, 20.00 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში — ბაქოს „ნეფტჩი“ — თბილისის „დინამო“. შეხვედრის მეორე ნახევრის რეპორტაჟი ბაქოდან, 20.45 — მსუბუქი მუსიკა, 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — კონცერტი ი. ბაბის ნაწარმოებებიდან, 22.00 — სპექტაკლების სცენები ს. ჭიაურელის მონაწილეობით, 23.30 — საესტრადო რიგმები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

25 ივნისი

პირველი პროგრამით: 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.38 — ჩვენი მთა-ბარის ჰანგები, 06.50 — „სოფლის ლიანა“, 07.31 — დილის კონცერტი, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.), 08.37 — მელოდიიდან მელოდიამდე, 09.45 — ა. შავერზაშვილის საკიოლინო კონცერტი, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მ.), 11.10 — „ბალეტი „ცისფერი მთა“ საუნჯის“ ფრაგმენტები, 14.00 — — „ლიტერატურული კითხვა“ — კ. ლორთქიფანიძე. „კოლტეთის ცისკარი“. რომანი (გაგრძელება), 14.20 — ა. ვივალდი. კამერული ნაწარმოებები, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ა. მიქაბერიძის კონცერტი, 17.40 — ყველაზე პაპარუბისათვის. რადიოსადგური „ციცინათელა“, 18.10 — „მელოდია, რიგმი, განწყობილება“. კონცერტი, 19.00 — „ყრილობიდან ყრილობამდე“ — საუბარი „როგორ ვამთავრებთ ხუთწლედს“, 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.40 — „ბილიოთეკა ლენინური უნივერსიტეტი“ — „პასუხი რადიომსმენელთა წერილებზე“, 20.30 — რადიოჟურნალი „თბილისი-ბაქო-ერევანი“ (თბილისიდან),21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — ახალგაზრდობისათვის „საუნდენგოთა მესამე შრომითი სემესტრი“, 21.30 — ვ. აზარაშვილი. კონცერტი ფლეიტისა და ორკესტრისათვის, 22.00 — სცენები ქართული სპექტაკლებიდან, 23.30 — ფ. ლოუ. ოპერეტა „ჩემი მშვენიერი ლედი“ ნაწყვეტები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

26 ივნისი

პირველი პროგრამით: 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.38 — ჩვენი მთა-ბარის ჰანგები, 06.50 — „სოფლის ლიანა“, 07.31 — დილის კონცერტი, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.), 08.37 — მელოდიიდან მელოდიამდე, 09.45 — „ბეთოვენი“ — „ბეთოვენი“ — „ბეთოვენი“ — „ბეთოვენი“ — „ბეთოვ